

ნანა შაშიაშვილი, ნათია კვიციანიძე, მარიამ გაპრინდაშვილი

## რეფერენტული ფასების პოლიტიკის გავლენა ფარმაცევტულ სექტორზე

თსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.18>

NANA SHASHIASHVILI, NATIA KVIZHINADZE, MARIAM GAPRINDASHVILI  
IMPACT OF REFERENCE PRICING POLICY ON THE PHARMACEUTICAL SECTOR

TSMU Department of Social and Clinical Pharmacy

### SUMMARY

The reference pricing reform was enacted in Georgia in 2023, affecting up to 6,000 medicines within one year. To assess the impact of this policy, a survey was conducted among pharmacists, doctors, and consumers. The study results indicate that regulating medicine prices is most effective when combining different methods tailored to the country's specific context. In the long term, it is recommended to implement full universal healthcare coverage. It is crucial to note that the risk associated with policy implementation is higher in countries lacking robust legal frameworks that support and strengthen the healthcare system. Developing and utilizing transparent health information systems are essential for the effective implementation, monitoring, and evaluation of pharmaceutical pricing and procurement policies. Although reference pricing can improve healthcare cost management and access to medicines, policymakers must carefully manage these schemes to prevent unintended consequences on pharmaceutical innovation and market dynamics.

**Keywords:** reference, pricing, impact, pharmaceutical sector

**თემის აქტუალობა.** ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი, სამკურნალო საშუალებებზე როგორც ფიზიკური, ასევე გეოგრაფიული წვდომაა. დადგენილია, რომ განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში არარეგულირებადი ფასები ფარმაცევტულ პროდუქტებზე მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას [1]. მთავრობებმა მთელ მსოფლიოში უნდა განახორციელონ შესაბამისი პოლიტიკა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. ზოგიერთი ფართოდ გამოყენებული სტრატეგია მოიცავს მწარმოებლის ფასების კონტროლს დანახარჯებთან ერთად, შიდა და გარე რეფერენტულ ფასს, მოგების და მიწოდება/განაწილების ჯაჭვის რეგულირებას, გენერული მედიკამენტების პოპულარიზაციას და სხვ. [2,3,4].

საქართველოში მედიკამენტებზე არსებული მაღალი ფასები განპირობებული იყო, ფარმაცევტულ სფეროში არსებული ხარვეზებით და იმ ფაქტორით, რომ ქვეყანაში არ ხდებოდა ფასების რეგულირება, მედიკამენტების რაციონალური გამოყენება და ფასებზე კონტროლი. მედიკამენტებზე რეფერენტული ფასწარმოქმნის რეფორმა, საქართველოში 2023 წლის 15 თებერვლიდან ამოქმედდა და ერთ წელიწადში რეგულაცია 6 ათასამდე მედიკამენტს შეეხო. რეფორმის დანერგვიდან 1 წლის შემდეგ პერიოდში აქტუალურია როგორ აფასებენ პროცესში ჩართული მხარეები სიახლეს და რა გამოწვევების წინაშე დგას ფარმაცევტული სექტორი ამ მიმართულებით.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენდა რეფერენტული ფასების პოლიტიკის შედეგების გავლენის შესწავლა ფარმაცევტული სექტორის გამართულ ფუნქციონირებაზე.

**კვლევის ამოცანები, საგანი და მეთოდიკა:** რეფერენტული ფასის სისტემის კვლევის ფარგლებში მონაწილეობა ჯამში 125-მა რესპონდენტმა მიიღო (ფარმაცევტებმა, ექიმებმა, პაციენტებმა). კვლევის პერიოდი იყო 01.03.2024-26.05.2024. საკვლევი პირები დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად. გამოკითხულთა შორის ექიმები შეადგენდა 16%-ს, ფარმაცევტები 32%-ს და პაციენტები 52%-ს. კვლევა ჩატარდა ელექტრონული და წერილობითი კითხვარის გამოყენებით, ანონიმურად,

იმგვარად, რომ დაცული იყო მათი კონსტიტუციური უფლებები. შესაბამისი კითხვარები სამიზნე ჯგუფებისთვის შემუშავებული იქნა ლიტერატული მასალის შესწავლის და ანალიზის საფუძველზე.

**კვლევის შედეგები და დასკვნები:** გამოკითხული ფარმაცევტები და ექიმები აღნიშნავენ, რომ რეფერენტული ფასის სისტემამ უკეთესობისკენ შეცვალა მათი ყოველდღიური საქმიანობა. ფარმაცევტების აზრით, არსებულმა ცვლილებებმა დადებითად იმოქმედა მათ ურთიერთობაზე პაციენტებთან, განსაკუთრებით კონსულტაციისა და შეთავაზების თვალსაზრისით.

რეფერენტული ფასის შემოღებამ ქვეყანაში განაპირობა ძალიან ბევრი მედიკამენტის ფასის ცვლილება, თუმცა, მიუხედავად ამისა ექიმები აღნიშნავენ, რომ არსებულ ცვლილებას პაციენტების მკურნალობის გადანყვეტილებებზე გავლენა არ მოუხდენია, ხოლო პაციენტების ნაწილში გამოიწვია უნდობლობა. არსებობდა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მედიკამენტების ფასის შემცირება სამკურნალო საშუალებების დანიშნულების ცვლილებას გამოიწვევდა. მაგრამ ამ ფაქტს ექიმები არ გვიდასტურებენ და გამოკითხვაში ცალსახად აღნიშნავენ, რომ რეფერენტული სის მედიკამენტების დაწესებას მათ დანიშნულებაზე გავლენა არ მოუხდენია. ამასვე ადასტურებენ ფარმაცევტებიც. მათი 60% აღნიშნავს, რომ არ შეუმჩნევიათ სამედიცინო პერსონალის მხრიდან მედიკამენტების გამონერის არჩევანთან დაკავშირებული ცვლილებები.

დადებითი მხარეების გარდა, ჯანდავის სისტემაში არსებულმა ცვლილებებმა, რომელიც გულისხმობს რეფერენტული ფასის დაწესებას მედიკამენტებზე, ფარმაცევტულ სექტორში გარკვეული გამოწვევები შექმნა. ფარმაცევტები, სამუშაო პროცესიდან გამომდინარე, გამოკითხვაში ასახელებენ რამოდენიმე მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც საყურადღებოა: მედიკამენტების მიწოდების შეფერხება (დეფიციტის ფონზე დაფიქსირდა აზიის ქვეყნების მწარმოებელი კომპანიებიდან მოწოდებული მედიკამენტების მარაგების ზრდა), მედიკამენტების ხარისხთან დაკავშირებული რისკები, ორიგინალი პრეპარატების რეალიზაციის შემცირება, პაციენტების არასაკმარისი ინფორმირებულობა, რაც იწვევს მათში დაბნეულობას და უნდობლობას, ასევე ფარმაცევტების საკონსულტაციო დროის გაზრდა (ვინაიდან მეტი დრო სჭირდებათ პაციენტებთან, რათა საფუძვლიანად აუხსნან, თუ რას გულისხმობს რეფერენტული ფასი). მიუხედავად იმისა, რომ რეფერენტული ფასწარმოქმნის რეფორმა წამლებზე ფასების მაქსიმალური ზღვრის დაწესებას გულისხმობს და დღემდე ჯამში 6000-მდე მედიკამენტს შეუმცირდა ფასი, გამოკითხული პაციენტების 77% მაინც აღნიშნავს, რომ სააფთიაქო ქსელებში პრეპარატების ფასი მაღალი რჩება. 79%-ის დაკვირვებით, ბოლო თვეების განმავლობაში, იმ მედიკამენტების ფასი, რომელსაც რეგულარულად მოიხმარენ, არ შემცირებულა, პირიქით, აფიქსირებენ მათზე ფასის ზრდას (გამოკითხულთა 80%). ასევე, პაციენტებმა გაგვიზიარეს ის მედიკამენტებიც, რომლებზეც ფასის მატება ბოლო თვეებში შენიშნეს, ესენია: ნექსიუმი, ნოლ-გრიპი, პულმიკორტი, მემბ-ფორტე, საკვები დანამატები, დეტრალექსი, (ზოგიერთ მათგანს კი დასახელებები არ ახსენდებათ). პაციენტების 74,2% აფიქსირებს, რომ მათი საერთო დანახარჯები მედიკამენტებზე ბოლო თვეების განმავლობაში არ შემცირებულა.

მედიკამენტების ხელმისაწვდომობა დაბალი ფასის გარდა მოიცავს მარაგების სწორ მართვას. შესაბამისად, ჩატარებულ გამოკითხვაში (როგორც პაციენტებში, ასევე ფარმაცევტებში) კითხვები ეხებოდა იმასაც, შეექმნათ თუ არა პაციენტებს წამლების ფიზიკურ ხელმისაწვდომობაში პრობლემა. მოხმარებელთა 69,2% ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში მათ კონკრეტული მედიკამენტების სააფთიაქო ქსელებში შეძენა გაუჭირდათ, წამლის მარაგების არ არსებობის გამო, კონკრეტულად დასახელდა ნუროფენი, ვილგეტი, ჰარტილ დ, ერიუსი, დივიგელი, ოკუთეარსი, ტოქსივენოლი, სერეტიდი, იმუდონი, ტრავატანი, რეოფარი, შოკო კალცი, ლედი ველა, რეზპტანი. იგივეს ადასტურებენ ფარმაცევტებიც. მათი 85% აღნიშნავს, რომ სააფთიაქო ქსელებში დაფიქსირდა მედიკამენტების დეფიციტი, რომელიც შეეხო: ქრონიკულ

მედიკამენტებს, ევროპიდან შემოტანილ და ონკოლოგიურ პრეპარატებს, ძვირადღირებულ მედიკამენტებს, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ქირურგიული პროცედურების დროს და არასტეროიდებს.

კვლევის ბოლოს, რესპოდენტებმა დაასახელეს, თუ რა ცვლილებებს და გაუმჯობესებებს შესთავაზებდნენ რეფერენტული ფასის სისტემას. ფარმაცევტების აზრით, სისტემის ხარვეზს წარმოადგენს პაციენტების არასაკმარისი ინფორმირებულობა, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ორიგინალ პრეპარატებსა და გაიზარდოს რეფერენტული მედიკამენტების სია. ექიმები სრულად ეთანხმებიან ფარმაცევტების რეკომენდაციებს რეფერენტულ სისტემასთან დაკავშირებით და დამატებით სთავაზობენ მარეგულირებელ სტრუქტურას, რაც დაკავშირებულია მარაგების სწორ მართვასთან, სპეციალური დანიშნულების მედიკამენტების ჩართვასთან რეფერენტულ სიაში და ექიმის დანიშნულებაში ჩარევების შემცირებასთან, ფარმაცევტების მხრიდან. პაციენტებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის, რომ წამლების ფასის კონტროლთან ერთად, სახელმწიფომ უზრუნველყოს რეფერენტული მედიკამენტების ხარისხის კონტროლიც. ისინი სისტემას სთავაზობენ, რომ კიდევ ერთხელ მოხდეს მედიკამენტებზე ფასების გადახედვა, რათა კოლოსალურად შემცირებულმა ფასებმა არ გამოიწვიოს კონკრეტული მედიკამენტების ბაზრიდან გასვლა.

დამატებით გამოიკვეთა, რომ მედიკამენტების ფასების რეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია სხვადასხვა მეთოდის კომბინაცია, რაც დამოკიდებულია ქვეყნის სპეციფიკურ კონტექსტზე. გრძელვადიან პერსპექტივაში სასურველია საყოველთაო ჯანდაცვის სრული დაფარვის დანერგვა. გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკის ნებისმიერი შესაძლო ვარიანტის დანერგვისას, თანამდევნი რისკი უფრო დიდია, თუ ქვეყნებს ჯერ კიდევ არ აქვთ ძლიერი სამართლებრივი სისტემები, რომლებიც მხარს უჭერენ და აძლიერებენ ჯანდაცვის სისტემას. სასურველია გამჭვირვალე ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების შემუშავება და ფართოდ გამოყენება ფარმაცევტულ მედიკამენტთა ფასების და შესყიდვის პოლიტიკის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების გასაადვილებლად. მიუხედავად იმისა, რომ რეფერენტული ფასები ეფექტური საშუალებაა ჯანდაცვის ხარჯების მართვისა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, პოლიტიკოსებმა ყურადღებით უნდა მართონ ეს სქემები, რათა თავიდან აიცილონ გაუთვალისწინებელი შედეგები ფარმაცევტულ ინოვაციებსა და ბაზრის დინამიკაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიანა ნემსაძე. მედიკამენტებზე რეფერენტული ფასწარმოქმნა მოლდოვეთში: გამოცდილება, გამოწვევები. კავკასიის უნივერსიტეტი, ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია. (2022)
2. Ashish Kumar Kakkar. Pharmaceutical price regulation and its impact on drug innovation: mitigating the trade-offs. Taylor & Francis online. 189-192 <https://doi.org/10.1080/13543776.2021.1876029> (2020)
3. Shima Nassiri, Elodie Adida, Hamed Mamai. Reference Pricing for Healthcare Services. Manufacturing & Service Operations Management manuscript MSOM-19-387 (2021)
4. Nur Sufiza Ahmad, Mohd Makmor-Bakry, Ernieda Hatah. Drug price transparency initiative: A scoping review. Research in Social and Administrative Pharmacy.16(10) 1359-1369 <https://doi.org/10.1016/j.sapharm.2020.01.002> (2020)

ნანა შაშიაშვილი, ნათია კვიციანიძე, მარიამ ვაფრინდაშვილი  
**რეფერენტული ფასების პოლიტიკის გავლენა ფარმაცევტულ სექტორზე**  
 თსსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

### რეზიუმე

რეფერენტული ფასების რეფორმა საქართველოში 2023 წელს ამოქმედდა და ერთი წლის განმავლობაში 6000-მდე მედიკამენტს შეეხო. ამ პოლიტიკის გავლენის შესაფასებლად ჩატარდა გამოკითხვა ფარმაცევტებს, ექიმებსა და მომხმარებლებს შორის. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მედიკამენტების ფასების რეგულირება ყველაზე ეფექტურია ქვეყნის სპეციფიკურ კონტექსტზე მორგებული სხვადასხვა მეთოდების გაერთიანებისას. გრძელვადიან პერსპექტივაში რეკომენდებულია ჯანდაცვის სრული საყოველთაო დაფარვის განხორციელება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკი უფრო მაღალია იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ გააჩნიათ ძლიერი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მხარს უჭერს და აძლიერებს ჯანდაცვის სისტემას. ჯანდაცვის გამჭვირვალე საინფორმაციო სისტემების შემუშავება და გამოყენება აუცილებელია ფარმაცევტული ფასების და შესყიდვის პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რეფერენტულ ფასებს შეუძლია გააუმჯობესოს ჯანდაცვის ხარჯების მართვა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა მართონ ეს სქემები, რათა თავიდან აიცილონ არასასურველი შედეგები ფარმაცევტულ ინოვაციებზე და ბაზრის დინამიკაზე.

რ